კოლექტიური ნარცისიზმის, კონსპირაციული თეორიების რწმენისა და ევროპასთან იდენტიფიცირების მიმართება წინარწმენებთან საქართველოში

მედეა გულბანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა გულბანი,

13 ივნისი, 2025

აბსტრაქტი

საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური დღის წესრიგი ხასიათდება ღრმა პოლარიზაციით, კრიზისებითა და დაპირისპირებით ტრადიციონალიზმსა და ევროპეიზაციას შორის. ასეთ გარემოში, მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ გავრცელებული წინარწმენები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სოციალურ თანასწორობასა და დემოკრატიულ განვითარებას. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავენ ჯგუფთაშორის ურთიერთობებს და საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს. მოცემული ნაშრომი შეისწავლის წინარწმენას რელიგიური, გენდერული, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების – მუსლიმებისა და კათოლიკეების, ტრანსგენდერებისა და გეების, ინდოელებისა და თურქების, და აზერბაიჯანელებისა და სომხების – მიმართ, ხოლო მათ პრედიქტორებად კოლექტიურ ნარცისიზმს, კონსპირაციული თეორიების რწმენასა და ევროკავშირთან იდენტიფიკაციას განიხილავს. ხელმისაწვდომი შერჩევისა და კორელაციური დიზაინის გამოყენებით, კვლევა 124 რესპონდენტთან ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ კოლექტიური ნარცისიზმი დადებითად წინასწარმეტყველებდა წინარწმენას რვავე ჯგუფის მიმართ, ევროკავშირთან იდენტიფიკაცია კი უარყოფითად. ვარაუდის წინააღმდეგ, კონსპირაციული თეორიების რწმენა არც ერთი ჯგუფისადმი წინარწმენის მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორი არ ყოფილა. ნაშრომი შეისწავლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების როლს ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაში და განიხილავს ზე-ჯგუფთან იდენტიფიცირებას, როგორც პოტენციურ დამცავ მექანიზმს წინარწმენის წინააღმდეგ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, კოლექტიური ნარცისიზმი, კონსპირაციული თეორიების რწმენა, ევროპასთან იდენტიფიცირება.

Abstract

The current political and social agenda in Georgia is marked by deep polarization, ongoing crises, and tensions between traditionalism and Europeanization. In such a context, prejudice toward marginalized groups poses a significant threat to social equality and democratic development. This study explores the role of psychological factors—namely, collective narcissism, belief in conspiracy theories, and identification with the European Union—in predicting prejudice against religious, gender, national/immigrant, and ethnic minority groups. These groups include Muslims and Catholics, transgender individuals and gay people, Indians and Turks, Azerbaijanis and Armenians. Using a convenience sample and correlational research design, data was collected from 124 participants. Findings revealed that collective narcissism emerged as the most consistent and robust positive predictor of prejudice toward all minority groups, while EU identification consistently functioned as a negative predictor across all models. Although belief in conspiracy theories was significantly correlated with prejudice to all eight groups, it did not emerge as a statistically significant predictor in regression analysis. The study highlights the role of social-psychological mechanisms in shaping intergroup relations and discusses supra-national identification as a potential buffer against prejudice.

Keywords: prejudice, collective narcissism, belief in conspiracy theories, identification with Europian Union.